ტრენინგ კურსი:
„ევროკავშირის კანონმდებლობის ტრანსპოზიცია საქართველოში“

12–15 ივნისი, 2023

კავკასიის უნივერსიტეტი,
საკონფერენციო დარბაზი

Co-funded by
the European Union

EUPOLTRANS
Jean Monnet Centre of Excellence
Caucasus University

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

ტრენინგ კურსი:
„ევროკავშირის კანონმდებლობის ტრანსპოზიცია საქართველოში“

12.06.2023	
რეგისტრაცია	09:00 - 09:30
მისალმება, პროექტის წარდგენა, საორგანიზაციო საკითხები	09:30 - 10:00
სერგი კაპანაძე, უფროსი მკვლევარი, პროექტის კოორდინატორი საქართველო ევროკავშირი: რა ეტაპზე ვართ ახლა? ევროკავშირის პოლიტიკები, სიახლეების მიმოხილვა	10:00 - 12:00
კითხვა–პასუხი/დისკუსია	12:00 - 13:00
ყავა-ჩაი, ხემსი	13:00 - 14:00
ალექსანდრე მიქელაძე, მკვლევარი/ექსპერტი გარემოსდაცვითი საკითხების რეგულირების პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში	14:00 - 16:00
კითხვა–პასუხი/დისკუსია	16:00 - 17:00

13.06.2023	
ნინო დოლიძე, ექსპერტი/მკვლევარი ევროკავშირის საჯარო მმართველობის სტანდარტებთან საქართველოს დაახლოება	10:00 - 12:00
კითხვა–პასუხი/დისკუსია	12:00 - 13:00
ყავა-ჩაი, ხემსი	13:00 - 14:00
ეკატერინე ქარდავა, მკვლევარი/ექსპერტი შრომის სამართლის რეგულირების პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში	14:00 - 16:00
კითხვა–პასუხი/დისკუსია	16:00 - 17:00

14.06.2023	
ვახტანგ ზაალიშვილი, მკვლევარი/ექსპერტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზოგადი ჩარჩო ევროკავშირსა და საქართველოში	10:00 - 12:00
კითხვა-პასუხი/დისკუსია	12:00 - 13:00
ყავა-ჩაი, ხემსი	13:00 - 14:00
ეკა აკობია, მკვლევარი/ექსპერტი ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს დაახლოება და თავსებადობა	14:00 - 16:00
კითხვა-პასუხი/დისკუსია	16:00 - 17:00

15.06.2023	
სოლომონ მენაბდიშვილი, მკვლევარი/ექსპერტი (TBD) კონკურენციის სამართლის რეგულირების პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში	10:00 - 12:00
კითხვა-პასუხი/დისკუსია	12:00 - 13:00
ყავა-ჩაი, ხემსი	13:00 - 14:00
იოსებ ნანობაშვილი, ექსპერტი სიმულაცია: ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მასში ჩართული ინსტიტუტები (ევროკომისია, ევროპული საბჭო/ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი)	14:00 - 17:00
სერტიფიკატების გადაცემა	17:00 - 17:30

ჟან მონეს წამყვანი ცენტრი ევროკავშირის კანონმდებლობის ტრანსპოზიციისთვის (EUPOLTRANS) მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს **სწავლებას, კვლევასა და დისკუსიას** ევროკავშირის პოლიტიკის ისეთი სფეროების ირგვლივ, როგორიცაა – **ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკები, მათ შორის გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებები, კონკურენციის პოლიტიკა, შრომა, საჯარო ადმინისტრირება, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა**.

აღნიშნული მიმართულებები მოცემულია AA/DCFTA–ის შეთანხმებაში და მათი ტრანსპოზიცია იგეგმება **2022–2024** წლებში. EUPOLTRANS უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფრო მეტ ჩართულობას ევროკავშირის პოლიტიკისა და ღირებულებების გავრცელების პროცესში.

ტრენინგი განკუთვნილია საჯარო მოხელეების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სტუდენტებისთვის, რომელთა პროფესიული საქმიანობა უკავშირდება რომელიმე ქვევით ჩამოთვლილს:

- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მისწრაფებებსა და პროცესს;
- ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დანერგვას საქართველოში;
- ევროინტეგრაციის პროცესის გაშუქებას;
- ევროკავშირის და ინტეგრაციის პროცესების გაცნობას და კვლევას.

მონაწილეობისთვის, გთხოვთ გაიაროთ ონლაინ რეგისტრაცია.

*** შერჩეული კანდიდატებისთვის ტრენინგის ყველა დღეს დასწრება სავალდებულოა და არ ითვალისწინებს გამონაკლისებს.**

შერჩევის შედეგები გეცნობებათ 2023 წლის 5 ივნისს.

სასწავლო კურსის მონაწილეებს გადაეცემათ კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ჟან მონეს წამყვანი ცენტრის – EUPOLTRANS–ის სერტიფიკატები.

ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის სიტყვები პროექტის შესახებ პროექტის გახსნის ღონისძიებაზე

„კავკასიის უნივერსიტეტისთვის ჟან მონე უცხო არ არის. წარსულში ის ჟან მონეს რამდენიმე პროექტზე მუშაობდა და დღეს აღნიშნავს თავის ბოლო მიღწევას, როგორც საქართველოსთვის წამყვანი ცენტრის კატეგორიაში გრანტის პირველი მიმღები! გილოცავთ!

ცხადია, უკეთეს დროს ვერც შეარჩევდით, მაშინ, როდესაც საქართველომ ევროკავშირში წევრობის განაცხადი სულ ახლახან შეიტანა. ეს ჰგავს ნაყინის დახლის გახსნას პაპანაქება სიცხის დადგომამდე!

თქვენი საქმიანობა ახლა უფრო საჭირო იქნება, ვიდრე ოდესმე, რადგან ევროკავშირის საკითხის სწავლების, კვლევისა და მისი პოლიტიკის დისკუსიასთან დაკავშირებულ თემას სჭირდება კიდევ ერთი ხარისხობრივი ნაბიჯის გადადგმა ამ პროცესის მხარდასაჭერად.“

პროექტის ექსპერტები

სერგი კაპანაძე – პროექტის უფროსი მკვლევარი და კოორდინატორი

კავკასიის უნივერსიტეტის ჟან მონეს პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი. საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი (თსუ) და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრი (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, უნგრეთი). გავლილი აქვს მოლაპარაკებებისა და მედიაციის მაღალი დონის კურსი (სინგაპური). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობის რანგში (2011-2012) იყო საქართველოს მთავარი მომლაპარაკებელი და მთავარი მომლაპარაკებლის მოადგილე საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებებში. ფლობს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიურ რანგს. იყო საქართველოს 2016 წლის მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი. არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ (GRASS) დამფუძნებელი, FACTCheck.ge დამფუძნებელი. არის ევროკავშირზე მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

ეკატერინე ქარდავა – მკვლევარი / ექსპერტი

სამართლის დოქტორი (თსუ); ჟან მონეს პროფესორი; კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე; ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერი; სამართლებრივი აპროქსიმაციის საერთაშორისო ექსპერტი; ევროკავშირის შრომის სამართლის სპეციალისტი; კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი; თსუ-ის მოწვეული ლექტორი; აღმოსავლეთ უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; ჟან მონეს სხვადასხვა აქტივობების ექსპერტი. 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, წიგნის, სახელმძღვანელოს, კვლევის ავტორი (უმეტესობა ეხება შრომის სფეროს). საქართველოში კურიკულუმის „ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია“ ავტორი.



ვახტანგ ზაალიშვილი – მკვლევარი / ექსპერტი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აფილირებული პროფ. კავკასიის უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფ. კითხულობს ლექციებს შემდეგი მიმართულებებით: ვალდებულებითი სამართალი, სახელშეკრულებო სამართალი, მომხმარებელთა უფლებების სამართალი, შრომის სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, ბიზნეს სამართალი, შედარებითი კერძო სამართალი. არის 15-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

სოლომონ მენაბდიშვილი – მკვლევარი / ექსპერტი

სამართლის დოქტორი (თსუ); ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი; კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ცენტრის დირექტორი და დამფუძნებელი; აქტიურად არის ჩართული კონკურენციის სამართლისა ნორმებისა და პრეცედენტული სამართლის განვითარებაში. მუშაობს ექსპერტად კონკურენციის სამართლის დავებთან დაკავშირებულ საქმეებზე. თემატური მიმართულებები: კონკურენციის სამართალი, მომხმარებელთა უფლებები. ევროკავშირის კონკურენციის სამართლის სპეციალისტი. ეწევა აკადემიურ და ექპერტულ საქმიანობას. არის 25-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ალექსანდრე მიქელაძე – მკვლევარი / ექსპერტი

ეკონომიკის დოქტორი (თსუ); კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. კემბრიჯის კონსერვაციის ინიციატივის „საფრთხის ქვეშ მყოფი ლანდშაფტების პროგრამის“ პროექტის ხელმძღვანელი საქართველოში; გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროექტის ხელმძღვანელი კახეთის რეგიონში, ჭაჭუნას აღკვეთილში. აღმასრულებელი მენეჯერი საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის, BirdLife პარტნიორი საქართველოში; მოწვეული ლექტორი თსუ-სა და ისუ-ში. 20-ზე მეტი პუბლიკაცია: სტატიების, გაიდლაინების, მართვის გეგმების, ზემოქმედების შეფასების (თანა)ავტორი. ბოლო სამუშაოების უმეტესობა ეხება მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის დოკუმენტაციას, რომელიც დაკავშირებულია დაცული ტერიტორიების, ზურმუხტის უბნების მართვასთან და ზემოქმედების შეფასებასთან.

ნინო დოლიძე – მკვლევარი / ექსპერტი



პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საჯარო მმართველობის კვალიფიკაციით (GIPA). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; ეწევა სამეცნიერო მუშაობას, ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში, აქვს გამოქვეყნებული არაერთი ნაშრომი საჯარო მმართველობის თემაზე. როგორც ექსპერტს, მონაწილეობა აქვს მიღებული საჯარო მმართველობის რეფორმის სხვადასხვა ასპექტების შეფასების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის თავსებადობის ანალიზისა და მსგავსი თემატიკის არაერთ კვლევით პროექტში. როგორც ტრენერი, ატარებს კონსულტაციებს და ტრენინგებს საჯარო მმართველობის, სტრატეგიული დაგეგმვის, პოლიტიკის ანალიზის, ზოგადი მენეჯმენტის, ორგანიზაციული მართვის და მომიჯნავე სფეროებში სხვადასხვა საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

ეკა აკობია – მკვლევარი / ექსპერტი, პროექტის თანაკოორდინატორი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, აფილირებული პროფესორი, დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობებისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი. საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი (თსუ-სა და ოქსფორდის უნივერსიტეტის კოლაბორაციული პროგრამა); საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (ბეილორის უნივერსიტეტი, აშშ) და პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი (ჰართვიკის კოლეჯი, აშშ). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის (Nispacee) საორგანიზაციო კომიტეტის არჩეული წევრი 2018 წლიდან დღემდე. ხარისხობრივი და მულტი-მეთოდური კვლევების ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სირაკუზის უნივერსიტეტი, აშშ. მინიჭებული აქვს მრჩევლის დიპლომატიური რანგი. 20-ზე მეტი აკადემიური და ანალიტიკური სტატიის, წიგნის თავის, სახელმძღვანელოსა თუ კვლევის ავტორი.

იოსებ ნანობაშვილი – ექსპერტი

სამხრეთ კავკასიაში ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის (EPLO) რეგიონული წარმომადგენლობის დირექტორი; პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; დიპლომატიის მაგისტრი; კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის ასოცირებული პროფესორი; კანადის მანიტობას უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარი; ვებსტერის უნივერსიტეტის (ათენი) საპატიო პროფესორი; ფლობს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიურ რანგს. 1998-2002 და 2006-2008 წლებში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტში, ხოლო 2002-2006 წლებში ბრიუსელში მუშაობდა ევროკავშირთან საქართველოს მისიის მრჩეველად. არის ევროკავშირთან დაკავშირებული 7 კვლევისა და რამდენიმე მოსაზრებისა და პოზიციის დოკუმენტის ავტორი, მათ შორის: „შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასაზრებლად“ და „The EU's Relations with its Eastern Neighborhood as Seen through EU Presidency Programs 2001-2021“.



Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union. Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them